პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 1985 წ.
№ 198 (9039) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

ყველა ჩემპიონი და პრიზიორი

საბჭოთა ფალავნების ხუთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი

ბუდაპეშტი. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატში გუნდური გამარჯვება საკმაოდ დიდი უპირატესობით საბჭოთა კავშირის ათლეტებმა მოიპოვეს. ხუთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი — ასეთი ნადავლით უნგრეთის დედაქალაქიდან არც ერთი ქვეყნის დელეგაცია არ წამოსულა. საპრიზო ადგილების მიღმა ჩვენი მოჭიდავეები მხოლოდ ორ წონით კატეგორიაში აღმოჩნდნენ: ევროპის 1983 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ვ. ძუგუტოვმა (74 კგ) მეოთხე ადგილი, ხოლო კონტინენტის წლევანდელმა ჩემპიონმა რ. თიბილოვმა (90 კგ) მეხუთე ადგილები დაიკავეს.

ჩვენმა ათლეტებმა განსაკუთრებით აქტიურად ჩაატარეს გადამწყვეტი ბრძოლები. უმრავლესობამ ფინალური შეხვედრები წმინდად მოიგო. ადგილობრივ სპორტისმოყვარულთა სამართლიანი სიმპათიები დაიმსახურეს საქართველოს წარმომადგენლებმა ლერი ხაბელოვმა და დავით გობეჯიშვილმა. ხაბელოვმა ფინალური შეხვედრა კანადელ კ. დევისთან სარეკორდოდ მოკლე დროში (პირველსავე პერიოდში) მოიგო. მას გადააჭარბა მძიმეწონოსანმა დავით გობეჯიშვილმა. უნგრელებმა ვერც კი მოასწრეს ქომაგობა გაეწიათ თავისი თანამემამულის იოჟეფ ბალასთვის, ისე სწრაფად დაამთავრა შეხვედრა დავით გობეჯიშვილმა.

საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ივანე იარიგინის აზრით, ქვემძიმე და მძიმე წონებში ჩვენს გუნდს საიმედო ფავორიტები ჰყავს: გობეჯიშვილი და ხაბელოვი თავიანთ გულშემატკივრებს კიდევ ბევრჯერ გაახარებენ. მთავარი ნავსის გატეხა იყო.

გთავაზობთ მსოფლიო ჩემპიონატის ტექნიკურ შედეგებს.

48 კგ. კიმ ჩერ ხვანი (კსდრ), 2. მ. ტორკანი (ირანი), 3. ვ. გოგოლევი (სსრ კავშირი).

52 კგ. 1. ვ. იორდანოვი (ბულგარეთი), 2. მ. დაიბოვი (სსრ კავშირი), 3. მ. სატო (იაპონია).

57 კგ. 1. ს. ბელოგლაზოვი (სსრ კავშირი), 2. ქ. დერკასი (აშშ), 3. გ. კალჩევი (ბულგარეთი).

62 კგ. 1. ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი), 2. ა. ენკე (მონღოლეთი), 3. ა. კუმბაროვი (ბულგარეთი).

68 კგ. 1. ა. ფაძაევი (სსრ კავშირი), 2. ბ. ბოლდი (მონღოლეთი), 3. პ. სალივენი (კანადა).

74 კგ. 1. რ. კასკარეტი (კუბა), 2. დ. შულცი (აშშ), 3. ლ. ენხბაიარი (მონღოლეთი).

82 კგ. 1. მ. შულცი (აშშ), 2. ა. ნანევი (ბულგარეთი), 3. ა. ტამბოვცევი (სსრ კავშირი).

90 კგ. 1. ბ. შერი (აშშ), 2. ჰ. მოჰები (ირანი), 3. რ. დუდზიაკი (გდრ).

100 კგ. 1. ლ. ხაბელოვი (სსრ კავშირი), 2. ქ. დევისი (კანადა), 3. უ. ნოიპერტი (გდრ).

130 კგ. 1. დ. გობეჯიშვილი (სსრ კავშირი), 2. ი. ბალა (უნგრეთი), 3. ბ. ბაუმპარტნერი (აშშ).

სვანეთში საზეიმოდ აღინიშნა მიხეილ ხერგიანის დღე

„მიშა შუბისხელა კაცი იყო“

— ცარიელ აკვანს ნუ დაარწევ, შვილო, ცოდვაა ეგი, — ძლივსგასაგონად, თავისთვის ჩაილაპარაკა ძაძებით შემოსილმა ბერიქალმა. სახის ღრმა, ჩაჭაუხებულ ნაოჭებში ძლივს გაიკვლია გზა ორადორმა კურცხალმა, თითქოს მყინვარს პირველი წვეთი, მთის მდინარე რომ იწყება, ის წვეთი მოსწყდა და აკვანს დაეპკურა, ხერგიანების ძირძველი გვარის საგვარეულო აკვანს — მიშას აკვანს... კიდევ ერთხელ უჩუმრად შეიშრო გამომშრალმა ხემ ცრემლი ქალისა.

...თვალს არ აშორებს შოთა ჩართოლანი მიშას პორტრეტს და ძლივსგასაგონად, მხოლოდ ლევან ახვლედიანის გასაგონად ამბობს — ათასი დღესასწაულისა და ზეიმის მომსწრე ვყოფილვარ, მაგრამ მიშაობა სულ სხვაა, ერთდროულად ცრემლსაც გგვრის და სიხარულსაც, დარდსაც გვახსენებს და იმედითაც გვავსებს.

თეთნულდის თეთრ კალთაზე გაწყვეტილი თოკივით დაგდებულ მთვარის სხივს კი მწვერვალისაკენ აჰქონდა სვანი ბიჭების სიმღერა, მიხეილ ხერგიანის, ქართველი კაცის ვაჟკაცობისა და უკვდავების სადიდებელი.

საოცარია ბუნება... მრუმე ღამეში, როცა არც კი გგონია ცისკარს თუ იხილავ, როგორღაც გაგრძნობინებს, რომ მალე მზე ამოვა და სისხლისფრად შეჰღებავს ამაყ მწვერვალებს, გათენდებაო — დაგაიმედებს და მისი ამ უსიტყვო „კარნახით“ იმედმოცემული სადიდებელს აღუვლენ სიცოცხლეს და ამომავალ მზეს. აგუგუნდება ლილე და კიდევ ერთი დღე ჩუმად ჩაბარდება მარადისობას, მაგრამ არის დღეები, რომელთაც დავიწყება არ უწერიათ. ნათქვამია, ათას ვერსზე მოგზაურობაც კი პირველი ნაბიჯით იწყებაო. დიახ, ისე გადაიდგა ნაბიჯი და გადაწყდა მიხეილ ხერგიანის სამყოფელი მუზეუმად გადაექციათ, ისეთ მუზეუმად, სიცოცხლეს რომ დაუბრუნებდა კლდეებთან მამაცურად მებრძოლს.

რახანია მიშაობას ზეიმობს სვანეთი და მასთან ერთად მთელი საქართველო, მაგრამ წლევანდელი ზეიმი მაინც განსაკუთრებული იყო... ამ დღეს გაიხსნა ლეგენდარული მთამსვლელის მემორიალური მუზეუმი.

ბევრი ხალხი მოვიდა ამ დღეს ხერგიანების კარ-მიდამოში, სადაც კიდევ ერთხელ გაიმართა სახალხო ზეიმი — მიშაობა. კაი ყმის მოსაგონებლად შეიკრიბნენ სრულიად საქართველოს წარმომადგენელნი, რესპუბლიკაში საგანგებოდ ამ დღისთვის სტუმრად ჩამოსულნი.

ტრადიციულად თავდაპირველად ლილე დააგუგუნეს მასპინძლებმა... დღესასწაული შესავალი სიტყვით გახსნა მესტიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ელდარ ხვისტანმა. კიდევ ერთხელ აცრემლა ათას განსაცდელნანახი მეგობრები მიხეილ ხერგიანმა — კაცმა, რომელმაც თავისი ცხოვრება ლეგენდად აქცია. იმ დღეს სწორედ ამაზე ლაპარაკობდნენ ალპინისტის უპირველესი თანამოსანგრეები: ჯოკია გუგავა, ჯუმბერ კახიანი, შოთა ჩართოლანი, მაქსიმე გვარლიანი, მიხეილ ანუფრიკოვი, ლევან ახვლედიანი, გივი წერედიანი. მაგრამ აი, დადგა ზეიმის ყველაზე ამაღელვებელი წუთი: საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა მურად უშხვანმა, ქართული ალპინიზმის მამებმა ბექნუ ხერგიანმა და მაქსიმე გვარლიანმა გადაჭრეს წითელი ლენტი და ასობით ადამიანმა შეაბიჯა „კლდის ვეფხვის სამფლობელოში“.

აკვანი და გაწყვეტილი თოკი

...მაჩუბში თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, ისე, როგორც დასტოვეს სახლიდან გასულმა მასპინძლებმა, აკვანი, რომელშიც მიშას გარდა არაერთი ხერგიანი გაიზარდა, სხვა საოჯახო ნივთებიც (ასე გულდაგულ რომ შეუგროვებიათ). მხოლოდ ს. ციხცაძის სულის ამაფორიაქებელი III კვარტეტი, ძლივს რომ მოისმის საიდანღაც, თუ მოგვაგონებს სატკივარს. აქ, ამ მაჩუბშია მოთავსებული მუზეუმის მემორიალური ნაწილი, რომელსაც ორგანულად აგრძელებს მიხეილ ხერგიანის დაწყებული და არქიტექტორთა, მხატვართა მიერ დამთავრებული სახლი, რომელსაც დღეს ალპინისტის ქოხი ჰქვია...

მხატვარ ტარიელ ჩიგოგიძესა და მუზეუმის დირექტორს იური ბურლაკოვს ამ პატარა სივრცეში თითქოს მთელი ეპოქა ჩაუტევიათ. პირველ სართულზე განლაგებული სტენდები მნახველებს მოუთხრობს არა მარტო ქართული ალპინიზმის განვითარების გზაზე, მიხეილ ხერგიანის განუმეორებელ სპორტულ მიღწევებზე, არამედ თვით ალპინისტური აღჭურვილობის სახეცვლილებაზე, აქ ყველაფერი მოშასეულია, მისი ხელშენავლებია, აი ქამარი ნაგლეჯი თოკით, რომელიც მამამ შეახსნა იტალიიდან ჩამოსვენებულ შვილს.

მეორე სართულზე მიშას საძინებელი ოთახის გვერდით მდებარე დიდ დარბაზში საჩუქრებია გა-

იხ. მე.2 გვ.

ლიდერთა შეხვედრები

საქართველოს ქალთა X საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი; IV ტური. ვერეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი) — ლევიტინა 0,5:0,5, მიჩიჩი — ლაზარევიჩი (ორივე — იუგოსლავია) 0,5:0,5, ხუგაშვილი — გარსია (ესპანეთი) 1:0, ხაიკოვა (ჩეხოსლოვაკია) — ლაგვილავა 1:0. არახამია — კახიანის, ახმილოვსკაია — იოსელიანის პარტიები გადაიდო. ჩილუშკინა — გურიელის შეხვედრა არ შემდგარა ქართველი დიდოსტატის ავადმყოფობის გამო.

4 ტურის შემდეგ ირინა ლევიტინას 3,5 ქულა აქვს, ნანა იოსელიანს — 2,5 (1), თამარ ხუგაშვილს, ელენა ახმილოვსკაიას, ქეთევან არახამიასა და ქეთევან კახიანს — 2-2 (1-1), ჟუჟა ვერეციპეტრონიჩს — 2.

ყურადღების ცენტრში ლიდერთა შეხვედრები იყო. მათგან ამ დღეს მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა. ლევიტინამ ვერეციპეტრონიჩთან ფრთხილად გაითამაშა ალიოხინის დაცვა, თანდათან გაათანაბრა თამაში და 24-ე სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა მეტოქეს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. შეწყვეტილ პოზიციაში იოსელიანს მატერიალური უპირატესობა აქვს ახმილოვსკაიასთან — ლაზიერი და ეტლი ორი ეტლისა და კუს წინააღმდეგ, მაგრამ ამ უპირატესობის რეალიზება დიდ ტექნიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მოგების შანსს არახამიაც ინარჩუნებს. მას ძლიერი გამსვლელი პაიკები აქვს.

მეორე გამარჯვება იზეიმა ხუგაშვილმა, ამჯერად გარსიასთან.

ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა ხაიკოვამ ლამაზად დალაშქრა ლაგვილავას მეფის პოზიცია — ჯერ დაასუსტა იგი, მერე მხედრის დროებითი შეწირვით საიერიშო ხაზებიც გახსნა, ბოლოს ეტლი შეწირა და ლაგვილავას ხელი აიღებინა ბრძოლაზე.

გუშინ, მე-5 ტურში ხუგაშვილმა მოუგო გურიელს, არახამიამ — იოსელიანს, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

წამიც და X საერთაშორისო ტურნირის მსაჯი, ჩეხოსლოვაკიელი საერთაშორისო ოსტატი და საერთაშორისო არბიტრი ნინა გრუშკოვა-ბელსკა ჩართავს საათს.

ალექსანდრე ქუტირაშვილის ფოტო.

გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო საბჭოთა კავშირის 53-ე ჩემპიონატის I ტური კალათბურთში I ლიგის ქალთა გუნდებს შორის. პირველი დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (უფა) —„დონი“ (როსტოვი) 86:84 (35:55), „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „ბანგა“ (კაუნასი) 49:88 (20:45), სკიფ (ტაშკენტი) — სპი (თბილისი) (46:40).

ძნელია ულაზიეროდ თამაში

საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი.

II ტურში მხოლოდ ერთი შეხვედრა დამთავრდა. იუსუპოვთან თამაშისას კუბელმა ნოგეირასმა მე-17 სვლაზე ლაზიერი დაკარგა და სამი სვლის შემდეგ დანებდა მეტოქეს. ყაიმზე შეთანხმდნენ ტალი—სოკოლოვი, სეირავანი —სპრაგეტი, კორჩნოი—შორტი და ტიმანი — ჩერნინი. გადაიდო რიბლი—ბელიავსკის, ვაგანიან — სმისლოვის და პორტიშ — სპასკის პარტიები.

III ტურში შორტმა დაამარცხა რიბლი, პორტიშმა — სპრაგეტი. დაზავდნენ სმისლოვი—ტალი, ჩერნინი—ვაგანიანი, ბელიავსკი—ტიმანი, ნოგეირასი — სეირავანი და სპასკი—კორჩნოი, გადაიდო სოკოლოვ—იუსუპოვის პარტია.

3 ტურის შემდეგ 20 წლის ნაიჯელ შორტს (ინგლისი) 2 ქულა აქვს, არტურ იუსუპოვსა (სსრ კავშირი) და ლაიოშ პორტიშს (უნგრეთი) — 1,5-1,5.

სპრინქსს ბრუნო შეხვდება

ლონდონში, მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა ევროპის პირველობაზე ერთმანეთს შეებრძოლნენ ევროპის ჩემპიონი შვედი ანდერს ეკლუნდი (110 კგ) და ამ წოდების პრეტენდენტი ფრენკ ბრუნო (ინგლისი, 102 კგ). ამასთან, გამოცხადებული იყო, რომ გამარჯვებულს უფლება ეძლეოდა ორთაბრძოლაში გამოეწვია მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მაიკლ სპრინქსი.

შეხვედრა 12 რაუნდს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ საკმაოდ სწრაფად დასრულდა. უკვე მეოთხე რაუნდში ბრუნომ, რომელიც რინგზე გაცილებით სწრაფად მოძრაობდა, ნოკაუტით გაიმარჯვა და ევროპის ჩემპიონი გახდა.

ინფორმაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები ხმამაღლა

როგორი მასპინძლები ვართ?

- ● სარედაქციო ფოსტა საზოგადოებრივი აზრის ბარომეტრია
- ● ბიუჯეტი, სამეურნეო ანგარიში, თუ ორივე ერთად?
- ● მზამზარეულ რეცეპტს ნუ დაველოდებით
- ● მომსახურება — განსხვავებული, გასამრჯელო — ერთნაირი?
- ● საჭიროა ფასების სახელმწიფო კომიტეტის დახმარება

თემა, რომელიც დღეს გამოგვაქვს საზოგადოებრიობის სამსჯავროზე, რედაქციაში შემოსულმა წერილებმა გვიკარნახა. რაკი სარედაქციო ფოსტა საზოგადოებრივი აზრის თავისებური ბარომეტრია, უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების დღევანდელ პირობებში მოსახლეობის ფართო ფენები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ფიზკულტურისა და სპორტისადმი. სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებებიც გვავალდებულებს ფართოდ ჩავაბათ მოსახლეობა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტმასობრივ მუშაობაში, მაქსიმალურად გამოვიყენოთ სპორტული ნაგებობები და კულტურის კერები. მაგრამ დრო გადის, საქმე კი ძალიან ნელა მიიწევს წინ. გამაჯანსაღებელი რბენისა და კვირეულის დამთავრების შემდეგ, ცხადია, ბევრს სურდა განეგრძო სისტემატური მეცადინეობა. სპეციალისტების დახმარებით, ესარგებლათ სპორტული ბაზების მომსახურებით, მაგრამ...

ცოტაა, ძალიან ცოტაა ისეთი სპორტული ბაზა რესპუბლიკაში და ჩვენს დედაქალაქშიც კი, სადაც შეიძლება მსურველი მივიდეს, გადაიხადოს გარკვეული თანხა, ამა თუ იმ გამაჯანსაღებელ ჯგუფში ჩაეწეროს და მეთოდისტისა და მედიცინის მუშაკის მეთვალყურეობით გაიკაჟოს სხეული.

მოდით, ზოგადმა საუბარმა რომ არ გაგვიყოლიოს, პირდაპირ ვთქვათ სათქმელი. საქმე ის არის, რომ **ზოგიერთი სპორტული ბაზა ბიუჯეტზეა და უფლება არა აქვს გახსნას ფასიანი ჯგუფები, ამისთვის საჭიროა საგანგებო ნებართვა,** რომელიც ზემდგომმა ინსტანციებმა უნდა გასცენ. ზოგან სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მეცადინეობის საფასური ვერ დაუდგენიათ, ზოგან ჯერჯერობით მზად არ არიან ასეთი ჯგუფების გასახსნელად. ბაზა კეთილმოუწყობელია, პირობებიც ხომ უნდა იყოს. იგივე ითქმის კულტურისა და დასვენების პარკებზე, საკლუბო და საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. ერთი სიტყვით, **მომსახურების სფეროს (ფიზკულტურა და სპორტი გვაქვს მხედველობაში), ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ვიყენებთ ადამიანების კეთილდღეობისთვის. არავინ იცის, რით იხელმძღვანელოს, რა გააკეთოს, ვის მიმართოს დახმარებისთვის.** არ ცოდნა არ ცოდვააო — იტყვით. ამასვე იმეორებენ ის ხელმძღვანელებიც, რომლებიც სპორტულ და კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს უდგანან სათავეში. სხვათა შორის, დუმან ზემდგომი უწყებრივი ინსტანციებიც. ისინი, თავის მხრივ, უფრო ზემოდან ელიან მითითებას და საბოლოო ანგარიშით საქმე ზარალდება, გაუმართლებლად გრძელდება ინერტულობა, მაშინ, როცა ყველგან გახურებული მუშაობა უნდა იყოს.

როგორც ვნახეთ, სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების ხელმძღვანელები ცუდად ერკვევიან თანამედროვე მოთხოვნებში, ღრმად ვერ სწვდებიან სადირექტივო დადგენილებების არსსა და მნიშვნელობას, ვერ გამონახეს მინიჭებულ უფლებათა პრაქტიკულად განხორციელების გზები. დრო კი აღარ ითმენს. ამიტომ **დაუყოვნებლივ უნდა ვიმოქმედოთ. ყველა ინსტანციაში, სადაც შეფერხებას ვაწყდებით, განგაში უნდა ავტეხოთ, თამამად, ბოლომდე უნდა მივიყვანოთ საქმე და იმის იმედად არ უნდა ვიყოთ, რომ ვინმე მზამზარეულის რეცეპტს შემოგვთავაზებს.** ალბათ სათანადო ინსტანციების შესაბამისმა სამსახურებმაც მეტი გულისყური უნდა გამოიჩინონ, თორემ გამოდის, რომ ოფიციალური გზებით საკითხს ვერ ვაგვარებთ, მოსახლეობის სურვილებს და ინტერესებს ვერ ვაკმაყოფილებთ, სხვადასხვა მაქინაციებით კი, ნურც ამას დავმალავთ, არალეგალურად აქა-იქ მაინც მუშაობენ ასეთი ჯგუფები, მუშაობენ ყოვლად საძრახისი გარიგების საფუძველზე, როცა მწვრთნელს თუ მეთოდისტს ხელზე უხდიან გასამრჯელოს. თანამზრახველთა სამკუთხედი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: — მეცადინეობის მსურველი — მწვრთნელი — სპორტული ბაზის ხელმძღვანელი. ამგვარ ანომალიას ვერასგზით ვერ შევურიგდებით და ამ განცხადება-გაფრთხილების შემდეგ რედაქციასაც ექნება სრული მორალური უფლება, საჯაროდ ამხილოს ასეთი ნეგატიური ფაქტები.

როგორც ჩანს, საჭირო და აუცილებელია სპორტულ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაუყოვნებლივ დავიწყოთ „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 12 ივნისის დადგენილებისა და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებების სწავლება. რამდენადაც ვიცით, ფასების სახელმწიფო კომიტეტში გამოყოფილია შტატით მომუშავე სპეციალისტი, რომელიც სახალხო მეურნეობის, მათ შორის მომსახურების სფეროს ყველა დარგის საფინანსო საკითხებს არეგულირებს, კონსულტაციას უწევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საფინანსო უფლებათა საკითხებზე, ეხმარება ფასების დადგენაში და ა. შ. **რატომ არ შეიძლება ასეთი სპეციალისტი ფიზკულტურისა და სპორტის სფეროსაც ჰყავდეს?** მაშინ ადვილად გადაიჭრებოდა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რაც ამა თუ იმ გამაჯანსაღებელი ჯგუფის მეცადინეობის საფასურის დადგენასთანაა დაკავშირებული. ფასების კომიტეტში, სპეციალურად გამოყოფილ მუშაკთან თავს მოიყრის მთელი დოკუმენტაცია. იმის მიხედვით კი, რომელი კატეგორიისაა და რა მომსახურებას სთავაზობს ესა თუ ის ბაზა მოსახლეობას, ადვილად შეიძლება დადგინდეს მეცადინეობის საფასური. აქ ქაოსი და გაუგებრობა დაუშვებელია. სამართლიანი და საფუძვლიანია იმ მკითხველთა შენიშვნები, რომლებიც გვწერენ: **რატომ ხდება, რომ ცურვაში აბონემენტის საფასური ერთი და იგივეა, ვთქვათ, სანაპიროზე მდებარე საწყლოსნო კომპლექსში, სადაც მომსახურება კომპლექსურია და იქაც, სადაც ცურვისა და შხაპის მეტს ვერაფერს შემოგვთავაზებენ?** იგივე ითქმის აერობიკის ჯგუფებზე. არც „დინამოს“ სტადიონზე დადგენილი წესი (მხედველობაში გვაქვს მომსახურება და აბონემენტის ღირებულება) გამოდგება, ვთქვათ, იმავე „ლოკომოტივის“ სტადიონის ან სხვა სპორტული ბაზებისთვის.

როგორც ხედავთ, ბევრი რამ არის გასარკვევი და დასადგენი, რათა კულტურის კერები და სპორტული ბაზები მაქსიმალურად დავტვირთოთ და ჩავაყენოთ მოსახლეობის სამსახურში. ცხადია, პრობლემები თავისთავად არ მოგვარდება. ამიტომ რედაქციამ გადაწყვიტა ფართო მსჯელობა გამართოს ამ საკითხზე. **პირველ ყოვლისა, პასუხს, რა თქმა უნდა, ფასების სახელმწიფო კომიტეტისგან, საქართველოს სპორტკომიტეტისა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს შესაბამისი სამსახურებისგან ველით.**

„მიშა შუბისხელა კაცი იყო“

(დასასრული)

მოფენილი. აქ არის ა. გაპონენკოს ფერწერული ტილოები, მოსკოველი პროფესორის, ვეტერანი მთამსვლელის ა. ნეკრასოვის ნაჩუქარი მთელი ბიბლიოთეკა, წიგნები, ვიმპელები.

და აი, კოშკიც, ხერგიანების სვანური კოშკი... კედლებს ალპინისტური საჭურველი ამშვენებს. საუკუნეების წინათ სვანი კაცის ხელით აგებულ კედელს წითელი თოკი მიჰყვება აღმა, რომლის გაწყვეტილი ბოლო უკან გადმოვარდნილა და მიშას პორტრეტს დასცემია. შეწუხებული მზერას აცილებ, მაგრამ მაინც ხედავ სისხლის წვრილი ნაკადივით დაძრულ თოკს... იქვე მიშას აკვანი დგას.

დიახ, ეს ის თოკია, კლდის ვეფხვს იქ, შორეულ იტალიაში, სუალტოზე რომ უღალატა.

ეს თოკი საკავშირო სპორტკომიტეტის ალპინიზმის მწვრთნელ-მეთოდისტმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. ანუფრიკოვმა ახლახან ჩამოიტანა მოსკოვიდან. იმ საბედისწერო წელს იგი საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი იყო იტალიაში და მიშას ცხედართან ერთად ის გაწყვეტილი თოკიც თან წამოიღო.

„მეხის გავარდნას ჰგავდა სიკვდილი“

ელდარ ხვიხტანი — მესტიის ალმასკომის თავმჯდომარე: მიხეილ ხერგიანი — ეს ორი სიტყვა ვაჟკაცობის, სიმამაცის სიმბოლოდ იქცა. დღეს რაიონში ყველაფერ ღირსშესანიშნავს მისი სახელი ჰქვია. სვანი გოგო-ბიჭები მიხეილ ხერგიანის სახელობის საშუალო სკოლაში სწავლობენ, ქუჩა, რომლითაც ამ ლამაზ მუზეუმში მოხვედით, მიშას სახელს ატარებს...

მიხეილ ანუფრიკოვი — საკავშირო სპორტკომიტეტის წარმომადგენელი: არის ალპინიზმის მუზეუმები ქალაქ სუმში, თებერდაში, თბილისის ალპიურ კლუბში (იგი ერთ-ერთი საუკეთესოა), მაგრამ სულ სხვაა მიშას მუზეუმი. ჯერ ერთი, იგი სვანეთში, საბჭოთა ალპინიზმის დედაბოძთან დგას და ეს უკვე ბევრს ნიშნავს. იმედი მაქვს, ამ მუზეუმის შესახებ უცხოეთის ცნობილი მთამსვლელებიც შეიტყობენ და მუზეუმს ახალ-ახალი ექსპონატები შეემატება.

ლევან ახვლედიანი — სპორტის დამსახურებული ოსტატი: დილით რომ ერთმა მანდილოსანმა ცარიელი აკვნისთვის ხელის შევლება აგიკრძალა, მაშინ გავიფიქრე, მიშას სახლი, დღეიდან მუზეუმად ქცეული, თავად არის ახალი აკვანი, აქ არაერთი ქართველი ვაჟკაცი აიდგამს ფეხს, აქ დაიზრდებიან მწვერვალებთან მორკინალი რაინდები.

* * *

იმ დღეს მიშაობას ზეიმობდა მესტია, მთელი სვანეთი, კინოთეატრებში აჩვენეს მიხეილ ხერგიანისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმები, ერთმანეთს შეეჯიბრნენ ნორჩი ფალავნები. დიდხანს არ დაშლილა ხალხი.

ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია ილაპარაკო იმ არაჩვეულებრივ დღეზე. უმჯობესია თავად ეწვიოთ ლეგენდარული ალპინისტის მშობლიურ ეზო-გარემოს, სახლ-მუზეუმს, უმჯობესია, რადგან თქვენ მიხეილ ხერგიანის და მთელი სვანეთის სტუმარი იქნებით...

** თამაზ ხარაბაძე,**
(„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი).

თემურ ჯავახაძის ფოტო.
მესტია.



ზამთრის სეზონისთვის სპორტული ბაზების მზადების ორთვიური

ხელი რომ არ შეეშალოთ...

კასპის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, სხვა დაინტერესებულმა დაწესებულებებმა უკვე გადადგეს საქმიანი ნაბიჯები ზამთრის სეზონისთვის სპორტული ბაზების მომზადებისათვის. შევხვდით რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს, დაზუსტდა შესასრულებელი სამუშაოები, კონკრეტული დავალებები მიიღეს წარმოება-დაწესებულებებმა, რომლებიც გვეხმარებიან სპორტული ბაზების კეთილმოწყობასა და რემონტში.

ჩვენი ყურადღება, ცხადია, დახურული ტიპის სპორტული ბაზებისკენ არის მიპყრობილი. რაიონულ ცენტრში ერთი ასეთი ობიექტი გვაქვს — ეს არის ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დარბაზი. აქ ყოველდღიურად ასობით მოზარდი ვარჯიშობს და მათთვის ზამთარში ნორმალური საწვრთნელი პირობების შექმნა ჩვენი უპირველესი საზრუნავია. აქ, ისევე, როგორც სოფელ მეტეხის ახალგახსნილ საჭიდაო დარბაზში, დამონტაჟებულია გათბობის სისტემა, მაგრამ გამოსაცვლელია წყალკანალიზაციის ერთი რიგი. უკვე დაიწყო სარემონტო სამუშაოები, გათბობის სისტემა მონტაჟდება აგრეთვე სასტუმრო ოთახებში. აქვე ერთიც უნდა ითქვას: საერთოდ ჩვენი რაიონი წყლის ნაკლებობას განიცდის, მაგრამ დამატებითი წყალსადენები სწრაფი ტემპით გაჰყავთ და როცა ახალი ქსელი ექსპლუატაციაში შევა, წყლის ნაკლებობა არც სპორტულ ბაზებზე იქნება. რაიონის საშუალო სკოლების სპორტულ დარბაზებში მოგვარებულია გათბობის საკითხი, ახლახან შეკეთდა მეორე სკოლის სპორტული დარბაზი. ბაზების კეთილმოწყობაში აქტიურად გვეხმარებიან აგროსამრეწველო გაერთიანების, ქარხანა „კასპელექტროაპარატის“, წვენებისა და საკონსერვო ქარხნების, გაერთიანება საქსოფლტექნიკის ხელმძღვანელი მუშაკები.

ავთანდილ ჯალალი,
კასპის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

მოდელებიც ასეთი უნდა...

ვოლგოგრადში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ავტოსამოდელო სპორტში (რადიოსამართავი მოდელები). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები.

წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ორი ოქროს მედალი მოიპოვა თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა **პაატა შარიაშვილმა.** ქვეყნის ჩემპიონი გახდა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა რუსთაველმა **ოლეგ სტარინინმა.**

მოდელების ერთ კლასში ასპარეზობდნენ ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონები **დათა ჩხაიძე** და **ვალერი წიქარიძე.** დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ვალერი წიქარიძემ, ვერცხლის მედალი დათა ჩხაიძემ მოიპოვა. აღნიშვნის ღირსია ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი, მეცხრეკლასელი **ანდრეი გალსტიანი.**

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანეს ჩვენი რესპუბლიკის **ოთხი** წარმომადგენელი: **პაატა შარიაშვილი, ვალერი წიქარიძე, დათა ჩხაიძე და ანდრეი გალსტიანი.**

მკითხველი — გაზეთი

შეკითხვა: შეიძლება თუ არა კვების ტალონებიდან შეჯიბრების მონაწილეებს ცალ-ცალკე მიეცეს საუზმის, სადილისა და ვახშმის ტალონი?

მალხაზ ბიბინეიშვილი.
თბილისი.

პასუხი: შეჯიბრებისა და სასწავლო-სპორტული შეკრების /მონაწილე სპორტსმენებზე მთელი დღის კვების ტალონი უნდა გაიცეს მთლიანად და არა ცალ-ცალკე. ხოლო თუ გუნდი შეკრების ან შეჯიბრების ადგილზე ჩადის ადგილობრივი დროით 16 საათის შემდეგ, იმ დღის ტალონი საერთოდ არ გაიცემა.

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

სსრ კავშირი—ირლანდია

1986 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი მატჩი ევროპის ზონის VI შესარჩევ ჯგუფში შედგა ირლანდიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. იგი შარშან 12 სექტემბერს გაიმართა დუბლინში 45 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ირლანდიელებმა. ეს ერთადერთი ბურთი 64-ე წუთზე გაიტანა უოლშმა.

დღეს ეს გუნდები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს, მატჩი შედგება მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ოლიმპიურ სტადიონზე, მისი ტელეტრანსლაცია იწარმოებს 20 საათიდან თბილისის დროით.

ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელ მატჩს არა მარტო სსრ კავშირისა და ირლანდიის გუნდების, არამედ მთელი VI შესარჩევი ჯგუფისთვის, ზედმეტია. ჯგუფის ხუთივე მონაწილეს არ დაუკარგავს შესაძლებლობა მოხვდეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში, ყველა გუნდი მაქსიმალური შესაძლებლობით იბრძვის პირველი ან მეორე ადგილის დასაკავებლად.

შევახსენებთ სატურნირო ცხრილს:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დანია	6	3	1	2	8-4	7
შვეიცარია	7	2	3	2	4-9	7
სსრ კავშირი	6	2	2	2	10-8	6
ირლანდია	6	2	2	2	4-4	6
ნორვეგია	5	1	2	2	2-3	4

თქმა იმისა, რომ ირლანდიის ეროვნული ნაკრები ჩვენი ტრადიციული ძველი მეტოქეა, არ შეიძლება. საბჭოთა გუნდი ირლანდიის ნაკრებს სულ ხუთჯერ შეხვდა. ერთი მათგანი ზევით უკვე მოვიხსენიეთ, პირველი ოფიციალური მატჩი კი ამ გუნდებს შორის 1972 წლის 18 ოქტომბერს გაიმართა დუბლინში. ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაში, იგი საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ანგარიშით 2:1 (პირველი ტაიმი 0:0), ბურთები გაიტანეს ფედოტოვმა და კოლოტოვმა (სსრ კავშირი) და კონროიმ (ირლანდია). მაშინ საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში თამაშობდნენ თბილისის დინამოელები მ. ხურცილავა და რ. ძოძუაშვილი.

შემდეგ ,1973 წელს, მეტოქეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს (მოსკოვში), გამარჯვება კვლავ საბჭოთა ნაკრებს ხვდა წილად — 1:0. 1974 წელს ირლანდიელებმა დუბლინში აიღეს რევანში — 3:0, ერთი წლის შემდეგ კი კიევში კვლავ საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს — 2:1. ამრიგად, დღემდე ჩატარებულ 5 მატჩში სამჯერ გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, ორჯერ — ირლანდიელებმა.

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონატის ამჟამად მიმდინარე შესარჩევი ციკლის პირველი მატჩი ირლანდიელებმა საკუთარ მინდორზე მოუგეს საბჭოთა გუნდს, ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ე. ჰენდმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დუბლინში მოპოვებულმა გამარჯვებამ მის გუნდს გარკვეული გამოცდილება შესძინა თუ როგორ უნდა საბჭოთა ნაკრებთან თამაში, ამიტომ საპასუხო შეხვედრაზე იგი გარკვეულ იმედებს ამყარებს, მაგრამ ირლანდიის ნაკრების პრობლემები ყველასთვის კარგად ცნობილია, ამ ქვეყნის უძლიერესი ფეხბურთელები ინგლისისა და შოტლანდიის საუკეთესო პროფესიულ კლუბებში გამოდიან („სანდერლენდი“, „არსენალი“, „ლივერპული“, „ტოტენჰემი“, „ბირმინგემი“, „გლაზგო რეინჯერსი“, „პორტსმუტი“ და სხვ.). ამიტომ მათი ერთად თავმოყრა და ერთობლივი წვრთნა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

VI შესარჩევ ჯგუფში მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როცა დანიისა და შვეიცარიის გუნდებმა 9 ოქტომბერს კოპენჰაგენში ფრედ დაამთავრეს მატჩი (0:0), გამარჯვება კი დანიელებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლის სრულ გარანტიას უქმნიდა. ახლა თითოეული ქულა ჯგუფის უკლებლივ ყველა მონაწილისთვის გადამწყვეტია, მათ შორის ნორვეგიელთათვისაც კი, რომლებსაც, აგრეთვე, ჯერ არ დაუკარგავთ ფინალში გასვლის იმედი.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ე. მალოფეევმა მიიწვია კიევის „დინამოს“, მინსკის „დინამოს“, თბილისის „დინამოს“, მოსკოვის „სპარტაკის“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ 20 ფეხბურთელი, ამ სიაში არიან ახლად დასახელებულებიც — კიევის დინამოელი ქუზნეცოვი, დნეპროპეტროვსკელი [illegible]ჩკოვი და ლენინგრადელი დმიტრიევი.

დღევანდელ მატჩში საბჭოთა ნაკრებს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროება, შემდეგ დღის წესრიგში დადგება ასეთივე მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა ნორვეგიელებთან (30 ოქტომბერს). ამ ორ მატჩში ჩვენს გუნდს ქულათა მაქსიმუმი — 4 ესაჭიროება და იგი 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საბოლოოდ გაინაღდებს ადგილს.

48

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

13 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 3 მატჩი.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ჟალგირისი“ 0:1 (0:0). ბურთი 50-ე წუთზე გაიტანა კასპარავიჩიუსმა.

დუბლიორები — 2:1.

„მეტალისტი“ — სკა (დონის როსტოვი) 2:0 (1:0). გოლები: ტარასოვი, ოლენევი.

დუბლიორები — 3:1.

„ჩერნომორეცი“ — „არარატი“ 2:1 (1:0). ხარკოველთაგან ორივე ბურთი გაიტანა მჩერბაკოვმა და, გარდა ამისა, 41-ე წუთზე პლოსკინამ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი (ბურთი მოიგერია ერევნელთა მეკარემ პოდშივალოვმა). საპასუხო გოლი 88-ე წუთზე გაიტანა ქოჩარიანმა.

დუბლიორები — 5:1.

I ლიგა

გუშინ გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ „ა“ ჯგუფის (I-XII ადგილები) გუნდები — ადგილობრივი „დინამო“ და ნიკოპოლის „კოლოსი“.

გაიმარჯვეს ბათუმელებმა — 2:0.

ლანჩხუთში თამაშობდნენ „ბ“ ჯგუფის წარმომადგენლები — „გურია“ (ლანჩხუთი) და „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი).

შეხვედრის ანგარიშია 1:0 კუიბიშეველთა სასარგებლოდ.

შემოსავალი მექსიკის ფონდში

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ბრაზილიელი ჟოაო ავლანჟი ხუთი დღე იმყოფებოდა მექსიკის დედაქალაქში, იგი კვლავ და კვლავ ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ მექსიკა თავს გაართმევს 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციის ყველა სირთულეს.

ჟ. ავლანჟმა პრესკონფერენცია გამართა მეხიკოს აეროპორტში, მაღალი შეფასება მისცა მექსიკის მთავრობისა და ხალხის მისწრაფებას შესაფერისად ჩაატარონ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი და დაძლიონ ყველა სიძნელე, რაც ძლიერი მიწისძვრითაა გამოწვეული. ჟ. ავლანჟმა განაცხადა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტში გაგზავნა წერილი წინადადებით, რათა ფიფა-ში შემავალმა ყველა ქვეყანამ თითო საფეხბურთო მატჩის შემოსავალი გადარიცხოს მექსიკის სტიქიური უბედურების მსხვერპლთა დასახმარებლად. მანვე უარყო ის ხმები, თითქოს, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტს ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე.

ეს წვრილმანი არ არის

ასპარეზობა, რომელი რანგისაც უნდა იყოს, პირველ ყოვლისა, სპორტსმენის ტექნიკურ-ტაქტიკური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ფუნქციური მომზადების, მორალურ-ნებელობითი თვისებების შემოწმებაა. მხოლოდ ასპარეზობის დროს ხდება შესაძლებელი ექსტრემალურ პირობებში სპორტსმენის ხასიათის, ესე იგი მისი საბრძოლო თვისებების გამოვლენა.

ზემოთქმულის გამო კარგად ორგანიზებულ შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოჭიდავეთა სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის, იგი ხელს უწყობს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის უკეთ წარმართვას, რამდენადაც მწვრთნელს მხოლოდ უშუალოდ ასპარეზობის პირობებში ეძლევა საშუალება თავისი მუშაობის ეფექტიანობა შეამოწმოს, თუ საჭიროა, ცვლილებები შეიტანოს წვრთნის პროცესში, უკეთ გაიცნოს თავისი მოწაფე.

სასწავლო-საწვრთნელი პროცესი და შეჯიბრება ერთიმეორესთან მჭიდრო, განუყოფელ კავშირშია. ორი რამ მთავარია სპორტში ოსტატებისთვის.

შეჯიბრებების მეცნიერულად დასაბუთებული კალენდარი მოჭიდავეთა სპორტული კვალიფიკაციის ამაღლებისა და ოსტატობის სრულყოფის საწინდარია. გარდა ამისა, კარგად ორგანიზებულ შეჯიბრებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. იგი ხელს უწყობს ჭიდაობის პოპულარიზაციას და პროპაგანდას, ჭაბუკების მიზიდვას ამ სახეობაში სამეცადინოდ.

წლის მანძილზე შეჯიბრებები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მთელი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა მიმართული იყოს ერთი მიზნისკენ: მოჭიდავემ სპორტული ფორმის პიკს მთავარი ასპარეზობისთვის მიაღწიოს (მოჭიდავეთა კვალიფიკაციის, შეჯიბრებისთვის სპორტსმენთა შერჩევის მიზნებისა და თავისებურების მიხედვით კალენდარული წლის მანძილზე ასეთი პიკი შეიძლება იყოს ერთი, ორი ან სამი). ცხადია, [illegible]ბის დონე და შეჯიბრებათა [illegible]ენობა განსხვავებული იქნება. [illegible]რიცხვს მოჭიდავეთა კვალიფიკაცია და მომზადების დონე განსაზღვრავს.

რაც შეეხება მოჭიდავეთა კვალიფიკაციის ამაღლებას და სპორტული ოსტატობის სრულყოფას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შეჯიბრებათა არსებული სისტემა ხელს არ უწყობს ამას. ეს თვალნათლივ ჩანს მასობრივი თანრიგების სპორტსმენთა მაგალითზე. ჭიდაობაში ადრეული სპეციალიზაციის გამო მოზრდილთა III და II თანრიგების სპორტსმენთა მომზადება აღარ ხერხდება, რამდენადაც დღეს მეტად იშვიათია, რომ 16-18 წლის ახალგაზრდამ ვარჯიში დაიწყოს. სპორტი საგრძნობლად „გაახალგაზრდავდა“ და ამ პროცესს არც ჭიდაობისთვის აუვლია გვერდი. პრაქტიკულად, მოზრდილთა III და II თანრიგების ნორმატივების შესრულება შეიძლება, მაგალითად, ფიზკულტურის ინსტიტუტში, სადაც სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული, რომ ინსტიტუტის კურსდამთავრებულს ორი მესამე დამატებითი თანრიგი ჰქონდეს შესრულებული. სხვა შემთხვევებში მოზრდილებისთვის მასობრივი თანრიგების შესრულების დაგეგმვა არარეალურია. შესაბამისად, სპორტული ჭიდაობის წარმომადგენლებისთვის მიზანშეწონილია დაიგეგმოს ჭაბუკთა II და I თანრიგების ნორმატივების შესრულება. თუ ახალგაზრდა კაცმა ჭაბუკობის ასაკში უკეთეს შედეგს ვერ მიაღწია, ის მოზრდილთა III ან II თანრიგის სპორტსმენი ხდება. აი, სწორედ აქ დგება პრობლემა, რომელიც, ჩვენი აზრით, ამუხრუჭებს მოჭიდავის სპორტული ოსტატობის შემდგომ ამაღლებას. რომელ შეჯიბრებებში უნდა მიიღოს მოჭიდავემ მონაწილეობა: საზოგადოების ჩემპიონატში? საქალაქო ან რესპუბლიკურ პირველობაში? საზოგადოების პირველობაში ან საქალაქო ჩემპიონატში გამოსვლა შეიძლება, რესპუბლიკური მასშტაბის ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას კი კვალიფიკაცია არ აძლევს. თუმცა ხშირად ისიც ხდება, რომ ამ შეჯიბრებებში დაბალი თანრიგების მოჭიდავეები გამოდიან. ესე იგი, მასობრივი თანრიგების მოჭიდავეებისთვის წელიწადში სამზე მეტი შეჯიბრება არ ეწყობა (თუ სპორტული საზოგადოება თავის ჩემპიონატს ატარებს). რაღა თქმა უნდა, ასეთ დროს ძნელია ლაპარაკი მოჭიდავეთა სპორტული კვალიფიკაციის ამაღლებასა და ოსტატობის სრულყოფაზე. საკითხავია, თუკი მოჭიდავეთა წონით კატეგორიებად დაყოფა შეიძლება, რათა სპორტსმენები თანაბარ პირობებში ჩავაყენოთ, რატომ არ უნდა ეხებოდეს ეს იმავე მოჭიდავეთა კვალიფიკაციას?

ვფიქრობ, ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ისევ წარსულის გახსენება გვაპოვნინებს. მე მახსოვს ის დრო, როცა III, II და I თანრიგების მოჭიდავეებისთვის (მაშინ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი არ იყო) ქალაქის პირველობები და საქალაქო საკლასიფიკაციო შეჯიბრებები ტარდებოდა. სხვათა შორის, საკლასიფიკაციო შეჯიბრება („ღია ხალიჩა“) არც გაუთავებლად ჭიანურდებოდა და არც სპორტსმენთა გადაღლას იწვევდა. ასპარეზობა ორ წრედ ტარდებოდა და მოჭიდავეები შემდეგ შეჯიბრებამდე თავისუფალი იყვნენ. ასეთი შეჯიბრებები ყოველ თვეში ეწყობოდა. საშუალოდ მომზადებული მოჭიდავე წლის განმავლობაში ასრულებდა III თანრიგის ნორმატივს, სწავლების მეორე წელს — II თანრიგს, მერე კი ინტერვალები იზრდებოდა. მოჭიდავეები უფრო აქტიურობდნენ, შეჯიბრებებზე ჩანაწერებს აკეთებდნენ, შეხვედრებს იგებდნენ, ამასთან, რაღა თქმა უნდა, იმ მეტოქეთა გვარებიც იცოდნენ, ვისაც უგებდნენ, და იმათიც, ვისთანაც აგებდნენ. ახლა ბევრს ისიც კი არ ახსოვს, ვის შეხვდა ბოლო შეჯიბრებაში. გარდა ამისა, წინათ თანრიგი თვითმიზანი არ იყო — მოჭიდავის თანრიგი მისი მომზადების დონის ზრდის კვალდაკვალ „მწიფდებოდა“. შეიძლება შემოგვედავონ, ჩვენი კოსმოსური საუკუნისთვის ეს მეტისმეტად გრძელი გზაა, მაგრამ ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ: მოჭიდავის სწავლება და წვრთნა პედაგოგიური პროცესია. ზოგი რამ იქნებ მართლაც შეიძლება ფორსირებულად ვასწავლოთ, მაგრამ ჭიდაობაში ამგვარი მეთოდი ჯერ ხელს არ მოგვცემს. იქნებ ვინმემ იფიქროს, რა ჩამორჩენილი ხალხი ყოფილა ეს მოჭიდავეები, თუ ამდენ ხანს სწავლა სჭირდებათო. არ არის სწორი — დღეს მოჭიდავეებს ბევრად უფრო სწრაფად ვასწავლით (თანდათან იხვეწება ილეთების სწავლების მეთოდები), მაგრამ სპორტული ოსტატობის ჩამოყალიბების პროცესი დაახლოებით იგივეა (საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად საშუალოდ 6-7 წელია საჭირო). ადრეულ სპეციალიზაციასთან დაკავშირებით სპორტის ოსტატი „გაახალგაზრდავდა“, მისი მომზადების ვადა კი დაახლოებით იგივე დარჩა.

რატომ არ შეიძლება ავაღორძინოთ ძველი ტრადიციები? ვფიქრობთ, კარგი იქნება ჩატარდეს საქალაქო შეჯიბრებები ჭაბუკთა II თანრიგის, ჭაბუკთა I თანრიგის მოჭიდავეებს, აგრეთვე სპორტის ოსტატობის კანდიდატებს შორის. ეს შეჯიბრებები უდავოდ დიდ სარგებლობას მოგვიტანდა.

არ არის სწორი, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენთან ასპარეზობის სისტემა არ იხვეწება. შარშან, მაგალითად; რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველომ ერთი კარგი შეჯიბრება აღადგინა — მოაწყო საქართველოს გუნდური ჩემპიონატი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. წლეულს ჩატარდა რესპუბლიკის ძიუდოისტთა გუნდური ჩემპიონატი. ეს კარგია, რა თქმა უნდა, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ უფროსებთან ერთად სტარტზე გამოსულიყვნენ იუნიორებიც (ასე ტარდება საკავშირო თასის გათამაშება).

იხ. მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის თასის გათამაშება რეგბიში

კარგად დაებედათ

ვეტერანი რეგბისტის, თბილისის, „ლოკომოტივის" გუნდის ყოფილი წევრის, სპორტის ოსტატ გურამ მოდებაძის ინიციატივით ორიოდე წლის წინათ თბილისის სამხატვრო აკადემიაში რეგბისტთა გუნდი ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა, ორ წელიწადში ძნელია შექმნა ისეთი კოლექტივი, რომელსაც საკავშირო ასპარეზზე შეეძლება გამოსვლა, მაგრამ საკავშირო სპორტკომიტეტმა გაითვალისწინა ამ გუნდის წევრთა ენთუზიაზმი, პერსპექტივები და გუნდი საკავშირო თასის გათამაშების საწყის ეტაპზე დაუშვა.

და აი, 13-14 ოქტომბერს ვარკეთილში, საქართველოს სპორტკომიტეტის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის ფეხბურთის სტადიონზე თბილისის სამხატვრო აკადემიის გუნდმა უმასპინძლა საკმაოდ ძლიერ გუნდს — ნალჩიკის „სპარტაკს". ეს გუნდი 70-იან წლებში საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც კი გამოდიოდა. სხვათა შორის, აქ ბევრი ქართველი რეგბისტი თამაშობდა (ლობჟანიძე, კავთელაშვილი, ხარშილაძე).

ორივე მატჩი დაძაბული და უშელავათო გამოდგა, პირველ დღეს ანგარიშით 13:10 გაიმარჯვეს თბილისელებმა. მეორე დღესაც მათ იმარჯვეს — 17:10. თბილისელთა გუნდში იყვნენ: კაკაბაძე, მაღლაფერიძე, ჯინჭარაძე, კვანტალიანი, კიიდია, ღლონტი, ტალახაძე, ქერტყოევი, ხარშილაძე, გ. წიკლაური, ნ. წიკლაური, კვანჭილაშვილი, კუხიანიძე, ნარიმანაშვილი, ი. ლექავა, ი. ციხელაშვილი, დ. გიგაური, ლ. გიგაური, მარჯანიშვილი, ტყემალაძე, კობერიძე, კირვალიშვილი, გელაშვილი, ამირეჯიბი და ლონლაძე.

არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ სამხატვრო აკადემიის რეგბისტთა გუნდის ენთუზიასტი მწვრთნელი ექიმი გურამ მოდებაძე, რომელიც ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე გატაცებით მუშაობს ახალგაზრდა რეგბისტებთან. მან შეძლო მოკლე ხანში იმედისმომცემი კოლექტივის შექმნა.

გაბრიელ ბარჯაძე.

ეს წვრილმანი არ არის

(დასასრული)

იუნიორებს საშუალება მიეცემოდათ უფროსებთან ერთად ესპარეზათ და წვლილი შეეტანათ თავიანთი კოლექტივის წარმატებაში. სპორტულ საზოგადოებათა საქალაქო გუნდური შეჯიბრებები გააძლიერებდა მწვრთნელებისა და საზოგადოებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას ჭიდაობის სახეთა განვითარებისათვის.

ხშირად სპორტულ საზოგადოებას გუნდი ისე გამოჰყავს რესპუბლიკის თუ ცენტრალური საბჭოს შეჯიბრებებში, რომ თავის პირველობას არ ატარებს. აქედან იღებს სათავეს ასპარეზობის მონაწილეთა სუბიექტური შერჩევა. ეს არის მიზეზი, რომ ახალგაზრდა მოჭიდავეები, რომელთაც საშუალება არა აქვთ ძალა მოსინჯონ და თავი გამოიჩინონ თანატოლებთან ბრძოლაში, ჭიდაობისადმი ინტერესს კარგავენ. ხშირად ხდება: საწვრთნელ ვარჯიშზე მოჭიდავე არა ჩანს, არაფრით არ გამოირჩევა, შეჯიბრებებზე კი უეცრად გარდაიქმნება. შერჩევის ზემოხსენებული სისტემით კი შეიძლება პოტენციურად ძლიერი მოჭიდავე დავკარგოთ. შეიძლება თქვან, ასეთი მოჭიდავე მოასწრებს თავის გამოჩენას, თუ აქ არა, სხვა შეჯიბრებაში მაინც. მაგრამ თუ ეს მოჭიდავე სპორტის სხვა სახეობაში გადავიდა ან სულაც დატოვა სპორტი? მწვრთნელის მთელი მუშაობა წყალში იყრება მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც მიზეზით არ ჩატარდა შესარჩევი შეჯიბრებები. გარდა ამისა, ირღვევა თანამიმდევრობის პრინციპი.

მე, ცხადია, მესმის, რომ ზოგჯერ სპორტულ საზოგადოებას თუ საქალაქო კომიტეტს უჭირს ამდენი შეჯიბრების ჩატარება. მაგრამ, ჩემი აზრით, გამოსავალი შეიძლება მოინახოს: ტურნირები შეტანილი უნდა იყოს სპორტული საზოგადოების ან საქალაქო კომიტეტის კალენდარულ გეგმაში, ხოლო ამ ასპარეზობათა გამართვა მორიგეობით უნდა დაეკისროთ სპორტულ საზოგადოებებს ან ფიზკულტურულ კოლექტივებს (მაგალითად, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბს).

ჭიდაობის ენთუზიასტებსა და მწვრთნელებს შეუძლიათ ამ პრობლემის გადაჭრა.

უძლიერესი მოჭიდავეები, როგორც წესი, საქალაქო და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში არ მონაწილეობენ. გვინდა ვურჩიოთ მათ, ნუ უგულებელყოფენ ასეთ ტურნირებს, რადგან ეს არის სპორტული ოსტატობის ამაღლების ერთ-ერთი გზა, საკავშირო შეჯიბრებებისთვის „საშინაო დავალებათა" შემოწმების, ფუნქციური მდგომარეობის შემოწმების შესაძლებლობა. ამ მხრივ ერთგვარი წინსვლა იგრძნობა. თავისუფალ ჭიდაობაში შარშანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატის სარბიელზე საქართველოს თითქმის ყველა უძლიერესი მოჭიდავე გამოვიდა. სასურველია ჭიდაობის სხვა სახეობათა წარმომადგენლებმა მიჰბაძონ მათს მაგალითს.

როგორც უკვე ვთქვით, ჭიდაობის პოპულარიზაციის ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი საშუალებაა შეჯიბრებები, ამასთან, კარგად ორგანიზებული შეჯიბრებები.

მოჭიდავეებისა და მწვრთნელებისთვის ასპარეზობა ნამდვილი დღესასწაული უნდა იყოს. მნახველზე შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს ლამაზად გაფორმებული სარბიელი, ინვენტარი, შეჯიბრების გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, აგრეთვე თვით დაჯილდოების პროცესი. სასურველია მედლებზე გამოსახული იყოს ჭიდაობის მომენტები. დღეს კი ამ დონეზე შეჯიბრებები მეტად იშვიათად ტარდება. კარგად ორგანიზებული ასპარეზობა ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. იგი ხელს უწყობს მრავალი კარგი თვისების ჩამოყალიბებას, რაც ახალგაზრდა მოჭიდავეებს გამოადგებათ არა მარტო სპორტში, არამედ ცხოვრებაშიც. დასასრულ, მთავარია თვით შეჯიბრების პროცესი. ხშირად (ეს ნაკლებად ეხებათ თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის წარმომადგენლებს) შეჯიბრებებზე გუნდების მწვრთნელები მსაჯების როლსაც ასრულებენ. მოგვარებულია კვალიფიციურ მსაჯთა მომზადების საკითხი. თუ მოხდა გამონაკლისი და კვალიფიციურმა არბიტრმა შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა, ან მთავარი მსაჯი უნდა იყოს, ან მისი მოადგილე. იმის გამო, რომ მსაჯის მოვალეობას მწვრთნელები ასრულებენ, ხშირად გამარჯვების საკითხი სუბიექტურად წყდება. ახალგაზრდა არბიტრები უხალისოდ ეკიდებიან შეჯიბრებებზე მსაჯობას, რადგან მათი უმნიშვნელო შეცდომაც კი მწვრთნელებსა და მონაწილეებში არაადეკვატურ რეაქციას იწვევს. შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს, მათ შორის — ახალგაზრდა მსაჯსაც, ოღონდ მთავარია ეს შეცდომა წინასწარ განზრახული არ იყოს. მსაჯი უნდა გავზარდოთ, უნდა აღვზარდოთ. ეს, პირველ ყოვლისა, ჭიდაობის ცალკეულ სახეობათა ფედერაციების მოვალეობაა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის შესაბამისი კათედრა ამზადებს ჭიდაობის ცალკეულ სახეობათა მსაჯებს, მაგრამ ისინი კვალიფიციურ არბიტრებად ვერ ჩამოყალიბდებიან, თუ სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში გამოცდილება არ შეიძინეს. ინსტიტუტის მასშტაბის ტურნირებში მსაჯობა არ კმარა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სხვა კოლექტივები კი იშვიათად გვთხოვენ დახმარებას შეჯიბრების ჩატარებაში. არადა, ეს ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნებოდა.

ცხადია, ამ წერილში წამოჭრილ ყველა საკითხს მარტო ის ხალხი ვერ გადაწყვეტს, ვისაც ჭიდაობის ცალკეულ სახეობათა განვითარებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება. ეს საერთო საქმეა, რომლის მოგვარებისთვისაც ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. აქ განზრახ არ მოვიყვანე კალენდრის არასწორად შედგენისა და შეჯიბრებათა ვადების შეცვლის, ასპარეზობის სუსტი ორგანიზაციისა თუ არაობიექტური მსაჯობის კონკრეტული ფაქტები, რადგან წერილის მიზანი ცალკეულ სპეციალისტთა და ორგანიზაციათა დანაშაულის გამოაშკარავება კი არ არის, არამედ გამოუყენებელი რეზერვების გამოვლენა მოჭიდავეთა ოსტატობის ამაღლებისა და მათთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გურამ რატიშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის გამგე, დოცენტი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

მსოფლიო ჩემპიონატი შესარჩევი ციკლი
ოკეანიის ზონა

როგორც ცნობილია, ამ ზონაში გამარჯვებული გუნდი ფინალური ტურნირის საგზურისთვის შეხვდება შოტლანდიის ნაკრებს, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა ევროპის VII შესარჩევ ჯგუფში. ოკეანიის ზონის ოთხი წევრიდან ჯერჯერობით მხოლოდ ერთმა — ტაივანის ნაკრებმა დაკარგა გამარჯვების იმედი. მორიგ მატჩში ტაივანელები დამარცხდნენ ახალი ზელანდიის ეროვნულ ნაკრებთან—0:5.

ახალზელანდიელები, რომლებიც ერთხელ (1982 წელს) უკვე მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში, სათავეში ჩაუდგნენ გათამაშების ცხრილს. მათ 3 თამაშში 5 ქულა მოაგროვეს. მეორე ადგილზეა ისრაელის ნაკრები (4 ქულა 3 მატჩში), ხოლო მესამეზე — ავსტრალიის ეროვნული გუნდი (3 ქულა 2 შეხვედრაში).

საქართველოს პროფსაბჭოს მეთოდკაბინეტი ამა წლის 2 ოქტომბრიდან ატარებს რიტმული ტანვარჯიშის ჯგუფების მწვრთნელ-მასწავლებელთა მოსამზადებელ და გადასამზადებელ სემინარს. სემინარზე დაიშვებიან ის პირები, რომელთაც აქვთ უმაღლესი და საშუალო ფიზკულტურული განათლება ა არიან სპორტის ოსტატებ მხატვრულ ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, აგრეთვე ქორეოგრაფები და ბალერინებ სემინარის მოსმენის მსურველებმა უნდა მიმართონ საქართველოს პროფსაბჭოს მეთოდკაბინეტს არა უგვიანე 25 ოქტომბრისა, თან უნდ იქონიონ სამუშაო ადგილიდან გაცემული მომართვ დახასიათება.

მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 95 ა, მძლე სნობის სასახლე. ტელეფონ 34-78-96.

საქართველოს პროფსაბჭოს მეთოდკაბინეტი.

კალეიდოსკოპი

ზაფხულში ისევე, როგორც ზამთარში

ზამთრის სპორტული სეზონი ჯერ არ დაწყებულა, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის იენს ვაისფლოგის (გდრ) ანგარიშზე კი უკვე რამდენიმე საგულისხმო გამარჯვებაა. ამას წინათ 21 წლის ობერვიზენტალელმა სპორტსმენმა ჩეხოსლოვაკიის დიდ საერთაშორისო ტურნირზე ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა. ცოტა მოგვიანებით კი პირველი ადგილები დაიკავა ობერსდორფსა და სარაევოში.

კორესპონდენტებთან საუბარში ვაისფლოგმა განაცხადა: მოთხილამურემ ზაფხულში ისევე ინტენსიურად უნდა ივარჯიშოს, როგორც ზამთარში. მე მაგალითად, ზაფხულის პერიოდში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მალოსნობას და მძლეოსნურ კროსებს. ყოველ ვარჯიშზე 7-8 კილომეტრს ვფარავ. მწვრთნელი მირჩევს დისტანცია გავზარდო, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ. ვირუსული გრიპის შემდეგ მომძლავრებული არა ვარ.

ტექნიკის მოყვარული

400 მეტრს მძლეოსნობის კლასიკურ დისტანციად თვლიან. დღეს მსოფლიოში არც ისე ცოტა მორბენალია, — ამ დისტანციის სპეციალისტი, მაგრამ მათ შორის ყველაზე ნიჭიერ და პერსპექტიულ სპორტსმენად თომას შენლებე (გდრ) მიაჩნიათ, რომელსაც 6 აგვისტოს 20 წელი შეუსრულდა.

მიმდინარე წლის სეზონის სტარტზე პარიზის ერთ-ერთ დახურულ მანეჟში შენლებემ დისტანცია 45,60 წამში გაირბინა, მაგრამ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სპეციალისტებს განუცხადა, დახურულ დარბაზში რბენა არ მიყვარს, ვირაჟები იქ ძალზე ვიწროაო.

შენლებემ პარიზში გამარჯვების შემდეგ ჟურნალისტებს ვრცელი ინტერვიუ მისცა და თავისი თავი ასე დაახასიათა:

— საერთოდ საქმიანი კაცი ვარ, მიყვარს ტექნიკა. ტექნიკას, სხვათა შორის, მომავალ სპეციალობას ვუკავშირებ. ჩემი მთავარი მიზანია კარგად ვისწავლო. მიყვარს მათემატიკა და ფიზიკა.

სიზუსტისადმი სიყვარული მის სპორტულ გამოსვლებსაც ეტყობა — ტაქტიკურ ბრძოლას იგი მუდამ ზუსტად და სწორად წარმართავს.

პრეზიდენტის მილოცვამაც არ გასჭრა

მის ცხოვრებაში ეს ყველაზე დიდი და საამაყო გამარჯვება იყო. კოლუმბიელმა მარტინ რამირესმა წლეულს მოიგო მოყვარულ ველოსიპედისტთა პოპულარული მრავალდღიანი ველორბოლა „ტურ დე ლავენირი", რომელშიც პროფესიონალებიც მონაწილეობდნენ.

ბედნიერმა ველოსიპედისტმა საფრანგეთშივე მიიღო თავისი ქვეყნის პრეზიდენტის ბელისარიო ბეტანკურის მილოცვა, რომელშიც სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „იმ დღეს მე ყველაზე ბედნიერი კოლუმბიელი ვიყავი".

„რადიო კადენა ინტერნაციონალის" ტელეკომპანია ყოველდღე გადასცემდა ინფორმაციებს რბოლის მსვლელობის შესახებ. ფინიშის დღეს ეკრანზე გამოჩნდა ბედნიერი რამირესი, რომელმაც განაცხადა: „ამ გამარჯვებას კოლუმბიის ხალხს ვუძღვნი". აქვე მან პრეზიდენტს მატერიალური დახმარება სთხოვა, მაგრამ როგორც გაირკვა, რამირესს საფრანგეთის პროფესიონალურ გუნდთან „ფაგორთან" კონტრაქტზე ჰქონდა უკვე ხელი მოწერილი.

ჩანს, კოლუმბიელები არც ისე მალე ნახავენ თავის სათაყვანებელ სპორტსმენს.

ზაგრები მზად არის

როგორც ცნობილია, 1987 წელს ზაფხულის მორიგ უნივერსიადას ხორვატიის დედაქალაქი ზაგრები უმასპინძლებს — ორი წლის შემდეგ მსოფლიოს უძლიერესი სტუდენტი სპორტსმენები თავს მოიყრიან ამ ქალაქში და 12 სახეობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

უკვე დამტკიცდა მომავალი უნივერსიადის პროგრამა. შეჯიბრებები ჩატარდება: მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფარიკაობაში, ფეხბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, საბაიდარო და კანოეთი ნიჩბოსნობაში.

დამტკიცდა შეჯიბრების ჩატარების თარიღებიც. უნივერსიადა დაიწყება 5 ივლისს და ზუსტად თორმეტი დღის შემდეგ, 16 ივლისს დამთავრდება. გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, აგრეთვე მძლეოსანთა სტარტები 70-ათასიან სტადიონზე შედგება. სტუდენტთა თამაშების თილისმად არჩეულია ციყვი.

კალეიდოსკოპი

ეკრანზე და ეთერში

საქართველოს ტელევიზია. 16 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; სტადიონი ყველასთვის — **17.50 (1)**; მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირი — ირლანდია — **20.00 (1)**.

საკავშირო რადიო. 16 ოქტომბერი. ტანვარჯიში — **6.15** და **7.15**; საწარმოო ტანვარჯიში — **12.00.**

საქართველოს ტელევიზია. 16 ოქტომბერი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირი — ირლანდია — **20.00.**

საქართველოს რადიო. 16 ოქტომბერი. სპორტის მოყვარულთათვის — **13.30** (რადიოსადგური „მთაწმინდა").

რედაქტორის მოადგ
თ. გაჩეჩილა

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფ ტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 ეე 063